მწვანე ალტერნატივა

მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №27/29, II სართ.
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

**მწვანე ალტერნატივას განცხადება**
**დარიალის ჰესის თაობაზე 2012 წლის 17 ნოემბერს გავრცელებული დოკუმენტის თაობაზე**

20 ნოემბერი, 2012 წ.

2012 წლის 17 ნოემბერს გავრცელდა დოკუმენტი „გამოხმაურება „მწვანე ალტერნატივის“ მიერ 2012 წლის 11 ნოემბერს გავრცელებულ პრეს რელიზზე“. დოკუმენტის ავტორი არ არის ცნობილი, თუმცა, მისი შინაარსიდან ნათელი ხდება, რომ ავტორი, სავარაუდოდ, დარიალის ჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანია „დარიალი ენერჯია“. დოკუმენტის ავტორის მიზანია, დაასაბუთოს მწვანე ალტერნატივას პოზიციის „არამართებულობა“ ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგზე დარიალის ჰესის მშენებლობის მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით.

ჩვენ არ ვაპირებთ, პასუხი გავცეთ ამ განცხადებაში მოტანილ არგუმენტებს, ვინაიდან ჩვენი პოზიცია მკაფიოდ და დასაბუთებულად არის წარმოდგენილი და გამოქვეყნებული ჩვენს 2012 წლის ივლისის პოზიციაში[1]. აქ კი, მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: განცხადების ავტორი ცდილობს, მკითხველი დაარწმუნოს, რომ პროექტი არ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე და ამის დასასაბუთებლად, მოაქვს მდინარე თერგის “მრავალწლიური ფაქტობრივი ჰიდროლოგიური მონაცემები“. ამასთანავე, ავტორი არ განმარტავს, რომ ჰიდროლოგიური მონაცემები, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, ემყარება 1928-40 და 1953-1986 წლების მონაცემებს, რაც აშკარად კარგად არ მეტყველებს ავტორის პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე.

ამასთან, აქვე განვმარტავთ შემდეგს: ამ ეტაპზე მწვანე ალტერნატივა სასამართლოში დავობს არა პროექტის განმახორციელებლის - „დარიალი ენერჯის“, არამედ გარემოს დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ. სარჩელით მწვანე ალტერნატივა მოითხოვს  გარემოს დაცვის მინისტრის იმ ბრძანების გაუქმებას, რომლითაც მდინარე თერგზე დარიალის ჰესის მშენებლობაზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცა. მწვანე ალტერნატივას აზრით, ამ ბრძანების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი გამოცემისას უხეშად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა: არ იქნა დაცული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის მოთხოვნები; ჰესის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ნაწილი შედიოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებში.

ამრიგად, ჩვენს სარჩელში მოცემული მოთხოვნა, მინისტრის ბრძანების გაუქმების შესახებ, ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი/პროცედურული მოთხოვნების დარღვევას. ვიმედოვნებთ, რომ სასამართლო, ტრადიციულად, უსიტყვოდ აღარ დაიცავს სამთავრობო უწყებების პოზიციას, რასაც სისტემატურად ჰქონდა ადგილი ბოლო წლებში, მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას და გააუქმებს გარემოს დაცვის მინისტრის შესაბამის ბრძანებას. ამის შემდეგ, „დარიალი ენერჯის“ ექნება შესაძლებლობა, ჩაატაროს სრულფასოვანი კვლევა და თავიდან შეიტანოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში განსახილველად და ნებართვის მოსაპოვებლად გარემოს დაცვის სამინისტროში. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამჯერად მაინც უზრუნველყოფილი იქნება ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, აღნიშნული განცხადების ავტორის არგუმენტების წარმოდგენა პროექტის ავკარგიანობასთან დაკავშირებით და ასევე, ჩვენც მოგვეცემა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ ვიდავოთ პროექტის შინაარსზე, მათ შორის, წყლის სანიტარულ ხარჯზე, თევზის ჰაბიტატის ფრაგმენტაციასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დარიალის ჰესის პროექტთან დაკავშირებით, აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც, რის გამოც მწვანე ალტერნატივა განცხადებით მიმართავს საქართველოს პროკურატურას.

www.greenalt.org

[1] იხ. როგორ კლავენ თერგს: საინფორმაციო ფურცელი დარიალის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ, 2012 წ. ივლისი: http://www.greenalt.org/webmill/data/file/fact_sheet_re_Dariali_hpp_July_2012.pdf